საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ფოთი

№ **04/1534**

21 / ოქტომბერი / 2019 წ.

KA000033434210119

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ინოვაციური პროექტის „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი დაფინანსება.

ახალგაზრდებისთვის ინოვაციური პროექტი „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ უზრუნველყოფს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ინოვაციური, საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურული და ურბანული პროექტების წარმოჩენასა და მათ განხორციელებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი „გ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მერის კომპეტენციაა შეიმუშავოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი. ამავე, კანონის 54-ე მუხლის პირველი „ე.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მერის კომპეტენციაა მის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად სათათბირო ორგანოს – სამუშაო ჯგუფის შექმნა.

ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ინოვაციური პროექტის „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ განხორციელებასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე,

ვბრძანებ:

მუხლი 1.

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ინოვაციური პროექტის „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ განხორციელებასთან დაკავშირებით შეიქნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) კონსტანტინე თოფურია - მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ნინო გვასალია - მერის თანაშემწე ინფრასტრუქტურულ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ინოვაციური პროექტის „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ განხორციელებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს:

ა) ბექა ვაჭარაძეს - საკრებულოს წევრი, სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ბ) ბაქარ ერაგიას - საკრებულოს წევრი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) შალვა სარდალიშვილს, საქართველოს პარლამენტის N61 ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

3. პროექტების შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს (პროექტებს), მათ შორის ინფრასტრუქტურულ და ურბანულ პროექტებს. პროექტი უნდა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში.

4. აღნიშნული ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს პროექტის „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ ფარგლებში გამარჯვებული იდეების პროექტირებისა და მათი განხორციელების დაფინანსების თანხა.

5. პროექტის წარდგენა, ხმის მიცემა განხორციელდეს ვებ-გვერდის- www.idea.poti.gov.ge მეშვეობით,

გამარჯვებულად გამოვლინდეს ის პროექტი (იდეა), რომელიც ხმის მიცემის შედეგად დააგროვებს ყველაზე დიდ კოეფიციენტს და აკმაყოფილებს აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს.

6. პროექტი (პროექტები) დაფინანსდეს 300 000 ლარის ფარგლებში.

7. სამუშაო ჯგუფის მიერ გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ პროექტთან დაკავშირებული სამუშაო, მომსახურება, საქონელი და სხვა შესყიდულ იქნას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურს და მერიის სამსახურებს დაევალოთ ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა დახმარება გაუწიოს სამუშაო ჯგუფს.

9. აღნიშნული ბრძანებით გაუთვალისწინებელ ორგანიზაციულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღოს სამუშაო ჯგუფმა.

მუხლი 2. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 15 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია